საქართველო

6344-01-2-202103161309

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/6344
16/03/2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

გვსურს გაცნობოთ, რომ ჩინეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო დახმარების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს უსასყიდლოდ გადასცეს კომპანია Sinovac-ის მიერ წარმოებული 100 000 დოზა ვაქცინა.

ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩინურმა მხარემ მოგვმართა თხოვნით, ოფიციალური ნოტით მიგვემართა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის აღნიშნული ვაქცინების მოწოდების თაობაზე.

გარდა ამისა, სამინისტრომ აწარმოა კომუნიკაცია საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსთან ვაქცინების ქართული მხარისათვის გადმოცემის პროცედურებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ჩინურმა მხარემ მოგვაწოდა დონაციის გამოყოფის შესახებ მიღებისა და ჩაბარების წერილი (letter of commitment), რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უკვე მიეწოდა.

დანართის სახით, გიგზავნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტის ასლს.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით, ,
დავით კერესელიძე

დეპარტამენტის დირექტორი
აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge